ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2068 ხუთშაბათი, 13 თებერვალი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2068

ხელის-მოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-92 №-რი.

წარმოდგენა მე-87. **ქართული თეატრი** ტელეფონი 617

ხუთშაბათს, 13 თებერვალს, 1903 წელს.

◆ უკანასკნელი წარმოდგენა ◆

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვალერიან გუნიას საბენეფისოდ

პირველად ორი ახალი პიესა

I

დარღვეული კერა

პიესა 3 მოქმ. ნაიდენოვის დრამიდან გადმოქართულებული ვალ. გუნიას მიერ.

(ამ პიესისთვის შეკვეთილია ახალი დეკორაციები)

II

სიძე-სიმამრი

მხიარ. კომ. 3 მოქ. ვ. გუნიასი (გერმანულიდან)

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა. ბ. რიონელი, ბ. როსტომიანი, ე. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 **საათზე. რეჟისორი ვ. გუნია.**

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„იდეალ“

საერთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ქიფიანი** **ტფილისში**, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაქაროვისა. **ტელეფონი** 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯიშვილის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—6)

ტფილისის კერძო სამკურნალო გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 8—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდე (ქირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი 11½—12½.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი: ოთხშაბათობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

მრ. მ. ხოზოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოობით:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მასაჟის და შვედიის გიმნასტიკა“: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, **№-21.** (აზიზის ქუჩის დასაწყისში). **ტელეფონი № 274** (წ.

წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისაგან.

მდგომარე **1903** წლის **28** თებერვალს დანიშნულია ამხანაგობის

საზოგადო კრება.

განსახილველია: 1) ანგარიში ამხანაგობისა; 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

კბილის ექიმი

ივანე-პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და **11—2**-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წო.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, **№ 22**, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

საზღვარ-გარედ

შეერთებული შტატები. სენატის სავაჭრო კომიტეტმა 8 ხმით 6 წინააღმდეგ დაადგინა, ზანგი კრუმი სატამოჟნო ბაჟების ამკრებად არ უნდა დამტკიცდესო. კრუმი ამ თანამდებობაზე თითონ რუზველტმა დანიშნა. კომიტეტის ყველა დემოკრატი წევრები ამ დანიშვნის წინააღმდეგ ყოფილან; ამათვე მიჰმხრობია ორი რესპუბლიკელი წევრიც.

◆ ახლა მტკიცდება, რომ ნავთის ტრესტის მეთაურს როკფელერს ნამდვილად მიუწერია სენატორებისათვის დეპეშები: ტრესტების წინააღმდეგ კანონს ნუ დაამტკიცებთო. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ს სწერენ ვაშინგტონიდან: როკფელერის ორი დეპეშა თითონ რუზველტს ენახა, ორის დეპეშის შინაარსი-კი სიტყვიერად გადაეცათ პრეზიდენტისათვის. პრეზიდენტმა მაშინვე „ასოციატიე პრეს“-ის სააგენტოს შეატყობინა ეს ამბავი. პრეზიდენტს შეეთვალა: ეს ამავი დაბეჭდეთ, მხოლოდ ჩემს სახელს ნუ ახსენებთო.

ოსმალეთი. „კელნიშე ცაიტუნგ“-ს სწერენ ვენიდან: „ძველ სერბიაში (ოსმალეთში) სერბების მონასტრები სულ ცარიელებია, ბერად აღარავინ აღარ შედის. ახლა ამ მონასტრების თაობაზე რუსეთის სინოდი და სერბიის მიტროპოლიტი შეთანხმდნენ და იქ რუსის ბერები დასახლდებიან. ამნაირი მონასტერი ძველ სერბიისა და ნოვობაზარის ოლქში სულ ექვსი ყოფილა.

გერმანია. პრუსიის მთავრობამ 1900 წლის სახალხო აღწერის ანგარიში გამოაცხადა. არა გერმანელებში ყველაზე მეტი პოლონელები ყოფილან. აღმოსავლეთ პრუსიაში—3,305,749 პოლონელია; 1890 წელს კი 2,922,474 ყოფილა. 1858 წელს აქეთ პოლონელებს სულ 1,240,000 სული მოჰმატებია. სოციალურის მხრივაც იზრდება პოლონელი ხალხი. სამ ძირითად კლასს—თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას და გლეხობას—მუშების ახალი კლასიც მიემატა. ამ კლასს ეროვნული თვით-ცნობიერებაც განვითარებული აქვს.

ესპანია. მადრიდიდან სწერენ „პარი ნუველ“-ს: „ბარცელონაში და კადიკსში გაფიცვები გათავდა. პოლიცია ძლიერ ცდილობს, ბარცელონიდან ანარქისტები განდევნოს. ბევრი ანარქისტი გაიქცა აქედან, მაგრამ პოლიცია მაინც ბეჯითად დაეძებს, სახლებსა სჩხრეკს და ხალხს ატუსაღებს.

კორონიაში ძლიერ აღელვებულია ხალხი. ამ დღეებში იქ დიდი კრება მოახდინეს. კრებას 8 ათასი მუშა დაესწრო. ანარქისტებიც ძლიერ ბევრნი იყვნენ. ორატორები ძლიერ მკაცრ კილოზე ლაპარაკობდნენ გაფიცვებს ახლა მეთევზეებიც მიემხრნენ; მეთევზეები გადასახადების მომატების წინააღმდეგ აცხადებენ პროტესტს. ადვილად შეიძლება, რომ საყოველთაო გაფიცვა მოხდეს.

ახალი ამბავი

◆ 11 თებერვალს, ტფილისის საბჭოს დარბაზში კერძო სხდომა ჰქონდათ ტფილისის საბჭოს ხმოსნებს ქალაქის მოურავის თანამდებობაზე კანდიდატების დასასახელებლად. ვიდრე კენჭის ყრას შეუდგებოდნენ, ხმოსნები, დეპუტატები გაუგზავნეს თავ. ნ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს დასთანხმებულიყო და მოურავის თანამდებობაზე კენჭი ეყარა. რადგანაც ხმოსნებს თავ. არღუთინსკისაგან თანხმობა მოუვიდათ, შეუდგნენ კენჭის ყრას; კანდიდატებად დაასახელეს: ნ. ვ. თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი 30 ხმით, ხოლო ა. ს. ბაბოვი 6 ხმით.

ფელეტონი

ჰაერში სამოგზაურო ბურთები*)

ვინ იქნება ისეთი, რომ ერთხელ მაინც არ ენატროს—ნეტავ ფრთები მომცა, ჩიტად მაქცია, რომ გავფრინდეო! დიდი ხანია ადამიანი შესჩერებია იმ თვალ მიუწდომელ სივრცეს, რომელიც დედამიწას დიდ გუმბათსავით გადაჰფარებია, და ფიქრობს ნუ თუ სამუდამოდ დედამიწაზე მიჯაჭული უნდა დავრჩე და ვერ ველირსები მაღლა აფრენასაო. ძველი ზღაპრული თქმულებანი სავსენი არიან სხვა-და-სხვა ამბებით, რომელნიც ამტკიცებენ ადამიანის ამგვარ მისწრაფებას. აბარისი აპოლონისგან ნაჩუქებ ოქროს ისარზე გაფრინდაო და დედა-მიწას გარს შემოუარაო; ზოგიერთი ზღაპრების გმირები ხომ ფეხს ისე არ გადაადგამენ, რომ რაღაც ეტლებით არ იფრინონ. ადამიანს თავდაპირველად მარტო ფრთების საშუალებით მიაჩნდა შესაძლო ჰაერში ფრენა, ისე, როგორც ჩიტები დაფრინავენ ხოლმე.

მეოთხე საუკუნეში ქრისტეს დაბადების წინ, როგორც მოგვითხრობენ, პითაგორიულ მეცნიერს არხიტას ტარანტიელს ვითომ ხის მასალიდან გაეკეთებინოს კიდეც ერთი მტრედი, რომელიც ჰაერში აფრინდებოდაო და შიგ მოთავსებულ რაღაც მანქანის საშუალებით რამდენიმე ხანიც შეეძლო ჰაერში გაჩერებაო; ხოლო თუ ძირს დაეცემოდა, კვლავ აფრენა აღარ შეეძლოვო. რა მანქანა იყო, ან როგორ იქნებოდა გაკეთებული, არავინ იცის. მეთერთმეტე საუკუნეში ერთი ინგლისელი ბერი ოლივიე მალმესბური მაღალ კოშკზე ასულიყო და გაფრენა მოესურვებინა. ორი ფრთა მხრებზე ჰქონდა თურმე მობმული, ორიც ფეხებზე; გადაფრინდა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის იქით დაეცა და ფეხები მიიმტვრია; ამნაირად დამახინჯებული თურმე მთელი სიცოცხლე იმაზე სწუხდა, რომ დამავიწყდა კუდი გამეკეთებინაო, თორემ უთუოდ გავფრინდებოდიო. მატიანე კიდე ბევრს ამნაირ ამბავს მოგვითხრობს. ადამიანი ყოველთვის სცდილობდა ფრინველისთვის მიებაძა და ფრთების საშუალებით გაფრენილიყო. მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო, რადგან, როგორც ჯერ ისევ 1782 წ. გამოჩენილმა მეცნიერმა ლალანდმა გამოიანგარიშა, ადამიანის დასაძრავად საჭირო იყო 180 ნაბიჯის სიგრძე-სიგანე ფრთები და აბა ამოდენა ფრთებს ადამიანის ღონე როგორ ამოძრავებდა!

1783 წელს ძმებმა მონტგოლფიერებმა დიდი ბურთი ცხელი ჰაერით გაბერეს და ამნაირი ბურთით ჰაერში აფრინდნენ. ამნაირად ეხლა ტფილისშიაც ბევრჯელ აფრენილან, მაგრამ მაშინ ეს ისეთი შესანიშნავი მოვლენა იყო, რომ ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თვით მეფე დიდის ამალით დაესწრო ამ შესანიშნავ დღეს და დიდის ამბით მიულოცა ბურთის მომგონთ ასეთი გამარჯვება. ყველა სიხარულით გაიძახოდა—დღეს, ხვალ და ადამიანსაც ფრინველსავით შეეძლება თავისუფლად ფრენაო! საუბედუროდ, ასეთი სიხარული ჯერ ძალიან ნაადრევი იყო; მასუკან ერთ საუკუნეზე მეტმა გაიარა და ამნაირი ბურთით ფრენა ისე ადვილი არ გამოდგა, როგორც პირველად ეგონათ.

ყველამ იცის, რომ თბილი ჰაერი მაღლა მიდის, იმიტომ რომ ცივ ჰაერზე უფრო მჩატეა. სწორედ ამ მიზეზით ცხელის ჰაერით გაბერილ ბურთს ცივი ჰაერი, ასე ვსთქვათ, იტივტივებს და მაღლა აგდებს. ჰაერში სამოგზაუროდ ცხელის ჰაერით ეხლა აღარა ჰბერავენ ბურთს; ამის მაგიერ ხმარობენ სანათი გაზს ან კიდევ წყალმბადის გაზს, რომელნიც ცხელ ჰაერზე კიდევ უფრო მჩატენი არიან. ისე რომ, ორი ადლის ღერძიანი ბურთი, მაგალითად, წყალმბადის გზით რომ გაიბეროს, თითქმის თორმეტი გირვანქის სიმძიმეს აიტანს ჰაერში, მაშინ როდესაც ორმოც-და-ათ გრადუსამდე გაცხელებულ ჰაერით რომ გაიბეროს, იმის მესამედსაც ვერ დასძრავს. ამას გარდა ცხელი ჰაერით გაბერილი ბურთი ისევ მალე ცივდება და ამიტომ, როცა დიდხანს უნდათ ჰაერში გაჩერება, ცხელი ჰაერით ბურთის გაბერვა სრულიად გამოუსადეგარია. მაღლა აფრენა კი ადვილია, მაგრამ ცარიელ აფრენით რა გამოვა, თუ ადამიანს ღონე არ ექნება—სადაც უნდა, იქით წაიყვანოს ბურთი! ერთ საუკუნეზე მეტია ამ საშუალების გამოგონებას სცდილობენ და ამ ცდას ჯერ სასურველი ნაყოფი არ მოუტანია. ავარდება თუ არა ჰაერში ბურთი, რაკი-ღა ფეხის მოსაკიდი ნიადაგი გამოეცლება, ჰაერის მორჩილი ხდება—ქარს საითაც უნდა, იქით გაიტაცებს. შეუძლებელია, ამბობენ ძველი თეორიის მიმდევარნი, ჰაერზე მჩატე ბურთი ქარის წინააღმდეგ წაიყვანოთო; თვით ბუნება გვიჩვენებს, რომ ჰაერზე მძიმე უნდა იყოს, რათა ფრენა შესძლოსო, და ამიტომ ისევ ფრინველებს უნდა წავბაძოთო, მით უფრო რომ დღეს ადამიანს ხელთ აქვს სხვა-და-სხვა მანქანები, რომელნიც ადამიანის ღონის მაგიერობას სწევენო. არა, ეუბნებიან მეორენი: ფრინველის წაბაძვა ადამიანს არ შეუძლიან,

---

*) სურათები იხ. „ცნ. ფ.“-ს დღევანდელ დამატებაში.

◆ „ტრამვაის უსახელო საზოგადოება" რომ ჭიდრავლიურ სადგურის აშენებას უცხადებდა ქალაქს, თავისის მხრით შემდეგს პირობათ სთხოვდა: ა) ტრამვაის კონცესიის ვადა კიდევ 14 წლიწადი მოემატოსო; ბ) ტრამვაის საზოგადოება განთავისუფლებულ იქმნეს იმ მოვალეობისაგან, რომ შუა ბაზარში ლიანდაგის გაყვანისათვის ადგილების შესაძენად 400 ათასი მანეთი გამოიღოს ერთ ხანად; გ) იმ ბილეთების ფასს, რომლითაც ერთი ლიანდაგიდან მეორეზე გადაჯდომა შეიძლება, ფასი მიემატოს და, შაურის მაგიერ, ექვსი კაპეიკის აღება შეეძლოს „უსახელო საზოგადოებას"; დ) ქუჩა-მოედნების მოკირწყლისათვის საჭირო 600 ათას მანეთის ავანსი, რომელიც უნდა „საზოგადოება"-მ ქალაქს მისცეს და რომლის ნახევარი უკვე მიღებული აქვს ქალაქს, მეორე სამასი ათასი მანეთი ექვსის წლის განმავლობაში აიღოს ქალაქმაო და ე) ელექტრონის ძალას ქალაქის განათებისათვის „საზოგადოება" დაუთმობს ერთ კილოუაიტს საათში 8 კაპ.

ინჟენერი კირაკოსოვი, თავმჯდომარე ამ საქმის გამგე კომისიისა, იმ აზრისა იყო, რომ „საზოგადოების" პირობები მისაღებია, ხოლო კონცესიის ვადა 14-ის მაგიერ, 10 წლით მიემატოსო და კილოუაიტი ერთ საათის ენერგიისა 6 კაპ. აიღოს ქალაქმაო. გუშინ-წინ კომისიამ განიხილა ეს საქმე გარეშე ექსპერტების თანადასწრებით. სხვათა შორის ინჟენერ ელექტრო-ტეხნიკოსს ეგოროვსაც კარგად შეუსწავლია „უსახელო საზოგადოების" პროექტი და იმისი პირობანი და ამტკიცებს, რომ ელექტრონის ძალა კილოუაიტი ერთ საათში „საზოგადოებას" $2\frac{1}{2}$ კაპეიკზე მეტი არ დაუჯდება, ასე რომ 3 კაპეიკი გაცილებით საკმარისი ფასი იქმნება „საზოგადოებისათვის", რომელიც ნახევარ კაპეიკობითაც საკმაო სარგებლობას ჰნახავს ამ საქმეში, რადგან იაფ ფასში ელექტრონის მუშტარი ძალიან ბევრი აღმოჩნდებაო.

◆ ინჟენერის ტ. ა. ენფიანჯიანცის გამგეობის წევრად დანიშნვით, იმედი ჰქონდათ ქალაქისათვის ცალკე ინჟენერის დაჭერა საჭირო აღარ იქნებაო, მაგრამ საქმემ კი სხვა აღმოაჩინა და ქალაქის გამგეობას დაუდგენია: სატეხნიკო სამუშაოთა საჭიროებისათვის ბ-ნ ენფიანჯიანცის დასახმარებლად ცალკე ინჟენერი იქმნას მოწვეულიო და ამისათვის 330 თუმანი წლიური ჯამაგირიც დაუნიშნავთ.

◆ დაღესტნის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ტიხონოვი და ჩერნომორსკისა—პოლკოვნიკი ვოლკოვი პეტერბურგს გაუწვევიათ სამსახურისა გამო.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შემდეგი საზოგადო კრება დაინიშნა 18 თებერვლისათვის.

◆ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 13 თებერვალს, სათავად-აზნაურო თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ გაიმართება წარმოდგენა დასის რეჟისორის ბ-ნ გ. გუნიას საბენეფისოდ; წარმოადგენენ მობენეფისესაგან გადაკეთებულს ორ-ახალ პიესას 1) დრამას „დარღვეული კერა" და 2) მხიარულ კომედიას „სიძე-სიმამრი".

◆ ტფილისის პოლიცმეისტერს შეუნიშნავს, რომ პოლიციელებს ხშირად თვითონ მოჰყავთ ისინი, რომელთაც პოლიცმეისტერი ამა თუ იმ საქმისათვის იბარებს ბოქაულების შემწეობით. ახლა განკარგულება მოუხდენია: დაბარებულს მხოლოდ უწყება ჩააბარეთ დაბარებისა და მოსვლა-კი თვითონ დაბარებულმა იცისო.

◆ გუშინ ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება საჩქაროდ იქმნას მიღებული ღონისძიებანი ცაცაშვილის აღმართის გასაკეთებლადაო.

◆ „ტ. ლისტ."-ი იტყობინება, რომ ტფილისის მოქალაქეს გარეგინ ერიწიანს უთხოვნია ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოსათვის, ნება მომეცით ამ წლის 1-ლ სექტემბრიდან გამოვსცე ტფილისში კვირაში სამჯერ გაზეთი „ისკუსტვო"-ო („ხელოვნება").

◆ ტფილისის გარშემო ისეთი დიდი თოვლი დაუდევს, რომ მიმოსვლა მეტად გაჭირვებულია. კავკავისაკენ მიმავალი გზა ტფილისიდან მე-9 და მე-14 ვერსტზე შეკრულია, იმდენი თოვლი ჩამოწოლილა ამ ადგილებში, თუ ზვავებად, თუ ქარ-ბუქისაგან თავ-მოყრილი.

◆ უწმ. სინოდს შვიდასი თუმანი გადაუდევს სოფ. ხულოში (ბათუმის მხარეს) მართლ-მადიდებელ ეკკლესიის ასაშენებლად. ამ ფულის ნახევარს წელს მისცემენ ეკკლესიის ასაშენებლად, მეორე ნახევარსაც—მომავალ წელს.

◆ გუშინ-წინ ვაჭრობა იყო ქალაქის გამგეობაში მნაცაკანის ხიდის იჯარით გასაცემად. იჯარის ყველაზე უფრო დიდი ფასი წარმოდგენილი იყო დაბეჭდილს პაკეთში ექვსასი თუმანი, მაგრამ გამგეობამ ამ ფასში ხიდის გაცემა ილოტავა და ვაჭრობა არ დაამტკიცა. ხელ-მეორედ ვაჭრობა 27 თებერვლისათვის დაინიშნა.

◆ ამას წინად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა, მისცემოდა ადელხანოვის საექციონერო საზოგადოებისა და დ. ზ. სარაჯიშვილის ფირმებს სახელმწიფო გერბი. ამ დღეებში მთავარ-მართებლის კანცელარიამ შეატყობინა სამეურნეო-საზოგადოების საბჭოს, რომ საზოგადოების შუამდგომლობა შეწყნარებული არ იქმნა.

◆ სოფელ გაშლიანის მცხოვრებელი ალექსანდრე პეტრიაშვილი თელავის მცხოვრებელის ბალდასაროვის ცოლთან, ელისაბედთან მისულა ექსარხოსის მოედანზე გუშინ-წინ საღამოს. ამ დროს ამ ქალთან მეზობელი ქალიც მისულა სტუმრად და ელისაბედ ბალდასაროვისას ცოტა წვეულება გაუმართნია. ამ დროს ქმარი—ბალდასაროვის მისულა შინ. ცოლს პეტრიაშვილის გარედ გაძევება მოუთხოვნია ქმრისათვის და, როცა ვერ მოუხერხებია, პოლიციის დასაძახებლად გასულა. ელისაბედსა და პეტრიაშვილს დიდი დავიდარაბა მოსვლიათ, მერე პეტრიაშვილს სამ ადგას—მუცელში, კისერში და ფეხებში დანით დაუჭრია და აქედან პირ-და-პირ პოლიციის მე-5 განყოფილებაში მისულა, დანა წარუდგენია და გამოუცხადებია, რაც ჩაუდენია. დაჭრილი ელისაბედი საავადმყოფოში წაუყვანიათ; ქმარს უთქვამს, სასიკვდილო ჭრილობანი არა აქვსო.

◆ ხაშურიდან იტყობინებიან: გუშინ-წინ დილით ბორჯომის რკინის გზის ტოტზე, სადაც პატარა ხიდის გაკეთებით ქვას ეზიდებიან, ერთ ვაგონს ფიცარი გამოჰგლეჯია და სოფ. ფონის მცხოვრებელს 18 წლის მუშას ნიკო ნოზაძეს თავში მოჰხვედრია და გაუტეხნია. ნოზაძე ხაშურის საავადმყოფოში გაუგზავნეს, მაგრამ ცოცხალი ვეღარ მიუყვანიათ—გზაში მომკვდარა.

◆ აჯამეთიდან იტყობინებიან, რომ 10 თებერვალს, ღამის 10 საათზე, ყვირილიდან მომავალი საქონლის მატარებელი სადგურზე შემოსვლის დროს გაწყდა. არავინ დაშავებულა და არც არა გაფუჭებულა-რა. დაშორებული ვაგონები მატარებლისა ორ გზით შემოიყვანეს სადგურზე.

◆ 11 თებერვლის სხდომაზე ტფ. ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება სტამბის პატრონის ვართანოვისა—მიეცეს მას ქალაქის გამგეობის ყველა სასტამბო საქმეები. ქალაქის გამგეობამ მიიღო სახეში ის გარემოება, რომ ვართანოვი სხვებზე უფრო იაფად უბეჭდავს გამგეობას ყველა ბლანკებსა და მოხსენებებს და გადაწყვიტა ყველა სასტამბო დასაბეჭდი საქმეები იჯარით მისცეს მესტამბეს ვართანოვს.

◆ ტფილისის პოლიციის მე-9 ნაწილის ბოქაულმა გუშინ მისწერა ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება მალე გამოგზავნეთ ქალაქის ტეხნიკოსი მე-9 ნაწილში ძველის შენობების დასათვალიერებლად და შესამოწმებლადაო.

◆ ირ. ფურცელაძეს განუზრახავს ტფილისის მომრიგებელ-მოსამართლის გადაწყვეტილება, რომლითაც გამართლებულ იქმნა ხმ. ბუდაღოვ-ბალდასაროვა, განსასჩივრათ ტფილისის ოლქის სასამართლოში.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისში დაარსდა ქართველთა წრე, რომელსაც საგნად აქვს სთარგმნოს და გამოსცეს ქართულ ენაზე უმეტესად საყმაწვილო წიგნები, რაც შეიძლება იაფ-ფასიანი, რომ ყველასათვის ხელ-მისაწვდომი იქმნეს. ყველას მოეხსენება, ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურა რა ღარიბია. ამიტომ ყველას მოვალეობაა, რომ ამ სიმპატიურ დაწესებულებას დაეხმაროს როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივად. წრემ უკვე დაურიგა სათარგმნელად წიგნები სხვა-და-სხვა პირთ. მთარგმნელთ შრომის ფასიც ეძლევათ, მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, მაინც იმედი გვაქვს, წრეს ბევრი დამხმარე აღმოუჩნდება.

◆ ქუთაისის მაზრის, სოფელ ბაღდადის ერთს მცხოვრებს ყ. ს. კიკნაველიძეს, როგორც წინადაც გვქონდა მოკლედ აღნიშნული, გამოუგონია ერთგვარი ხელსაბანი, რომელიც ოჯახში სახმარად ძლიერ მოხერხებულია. ხელსაბანი კედელზე მისაკიდებელია, იჭერს ძლიერ ცოტა ადგილს; როდესაც არ ხმარობთ, შეგიძლიათ კედელზე მიაკეცოთ. ხელსაბანი იწონის მხოლოდ 12 გირვანქას; ჩადის შიგ ერთი ვედრო წყალი; მოძრაობაში მოდის ფეხის საშუალებით. ნამეტურ კარგია ხელსაბანი თავის დასაბანად. ღირს სამ მანეთად. ბ-ნ კიკნაველიძეს, ხელსაბნის გასავრცელებლად უკვე მიუღია პრივილეგია, რომელიც გადაუცია ბ-ნ ჯანელიძისა და გოცირიძისათვის იმ პირობით, რომ წმინდა მოგების ნახევარი მას მისცენ. უკანასკნელთ ხელსაბნის რამდენიმე ასი ცალის გაკეთება შეუკვეთიათ მოსკოვის ერთის ზავოდისთვის. ოლდენბურგელ პრინცის კამფეტის სამზადებელ ფაბრიკას გაგრაში, მაგალითად, შეუკვეთია მათთვის 300 ცალი ხელსაბანი. ათი ცალი უკვე გაუგზავნიათ გაგრაში, რომელიც იქ ძლიერ მოსწონებიათ. ყოველი ახალი გამოგონება—რასაკვირველია, სასარგებლო—სასიამოვნოა, მაგრამ ეს გამოგონება კიდევ უფრო სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან მისი გამომგონი ერთი სოფლელი კაცია, რომელსაც, მგონი, საქალაქო სასწავლებელიც არა აქვს გათავებული.

რუსეთის ქრონიკა

◆ გაზეთი „ნოვოსტი" სწერს: 8 თებერვალს პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩვეულებრივი სადღესასწაულო აქტი არ ყოფილაო, რადგან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში რემონტია და წიგნები სააქტო დარბაზშია გადატანილიო.

◆ „ნოვ. ვრემია"-ს კიევიდან დეპეშით ატყობინებენ: წელს აქაურს უნივერსიტეტში სადღესასწაულო აქტი არ გაიმართებაო.

◆ სინოდს გადაუწყვეტია ყველა სასულიერო სემინარიებთან დააარსოს სამაგალითო სამრევლო სკოლები იმავე წესითა და პროგრამით, როგორიც პეტერბურგის სასულიერო სემინარიასთან არსებობს.

◆ გზათა სამინისტროში დაარსდა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საქმე ყველა დიდ სადგურებზე საავადმყოფოს დაწესების შესახებ.

◆ პეტერბურგში არსებულ ბეჭდვითი საქმის მოღვაწე-მუშათა დამხმარებელ საზოგადოებას სესტრორეცკში სახაზინო მიწა ებოძა დავრდომილ მუშაკთათვის სანატორიის ასაშენებლად.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება

სამშაბათს, 11 თებერვალს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებას

რადგან ფრინველის სამოძრაო იარაღი—ფრთები, მის ფიზიოლოგიურ არსებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია. ფრინველი თვით გრძნობს, როდის, როგორ ან რომელი ფრთა რანაირად უნდა დაიქნიოს, რომ ჰაერში გასწიოს და წინ წავიდეს. ადამიანის გამოგონილი მანქანა ფრთების მაგიერობას თავის დღეში ვერ გასწევსო. მაინც-და-მაინც ამ უკანასკნელი აზრის მიმდევარნი იმას არ ამბობენ, რომ უთუოდ ჰაერზე მჩატე ბურთით ვიფრინოთო; არამედ, ეს ბურთი ჯერ-ჯერობით ჰაერში სიმძიმის ატანას ძალიან გვშველისო და, რასაკვირველია, თუ ღონისძიება გვექნება, ამ ბურთს თან-და-თან დავაპატარავებთო და მერე იქნება სრულიად საჭირო აღარ გახდესო. მართლაც-და თან-და-თან სცდილობენ დაამძიმონ ეს ბურთი ისე, რომ თავისთავად ვერ ავიდეს ჰაერში და პატარა გარეშე ღონის დახმარებას საჭიროებდეს.

მე მსურს, რამდენადაც პატარა გაზეთის ფურცლის საშუალებით შესაძლოა, ჩვენ მკითხველებს სურათებით გავაცნო ჰაერში მოგზაურობის ვითარება.

რა კი-ღა მჩატე გაზით გაბერილ ბურთის საშუალებით ჰაერში გაჩერება ადვილი გახდა, ყველამ იფიქრა, რომ იმ საშუალებით, როგორითაც წყალში ნავი ან გემი მოძრაობდა, ჰაერშიაც შესაძლებელი იყო ეს საშუალება გამოეყენათ. ჩამოაბეს ბურთს ზეწრები ისე, როგორც გემს აქვს ხოლმე გაკეთებული და ეგონათ, ეს არის, ქარი დაჰბერავს და რა მიმართულებაც გვინდა, იმას მივცემთო. ვერ წარმოედგინათ, რომ როდესაც ბურთი ჰაერში გაჩერებული იყო, ის ქართან ერთად იმოძრავებდა. მართლაც და რაც უნდა დიდი ქარი იყოს, ადამიანი სრულიად ვერ ამჩნევს, პაპიროზის ბოლი ისე ადის მაღლა, როგორც უქარო დახურულ ოთახში ავა; რა სიჩქარითაც ქარი უბერავს, იმავე სიჩქარით ბურთიც თან მიაქვს და ბურთთან ერთად ადამიანიც მიჰფრინავს და იმ პაპიროზის კვამლიც; ერთი ერთმანეთს არ ასწრობენ და მაშასადამე საფრენ ბურთზე ქარი არ არის. ამიტომაც მანამ ბურთი მიწაზე დაჭერილი ეჭირათ ზეწრებს, ძალიან ჰბერავდა ქარი, მაგრამ როგორც რომ ხელი გაუშვეს და ბურთი მაღლა ავარდა, ზეწრებიც მჩვრებსავით უსიცოცხლოდ ჩამოეკიდნენ. მაშინ იფიქრეს, მოდი ხელოვნურად გავაჩინოთ ქარიო და იმით დაუბეროთ ზეწრებსაო (იხ. სურ. 1). ჩამოჰკიდეს ბურთს დიდი საბერველები, დაუბერეს ზეწრებს, ზეწრებიც მართლაც გაიბერენ, მაგრამ ბურთი კი თავის ნებას ვერსად წაიყვანეს და გაბერილი ზეწრები ისევ ქარს მიჰქონდა. ასეც უნდა ყოფილიყო. ეს იმას გავდა ურემზე კაცი ავიდეს და ჰალებს ეწეოდეს, რომ გავატაროო. რა კი არც ამან ივარგა, მაშინ ნიჩბებს მიმართეს. თუ კი ნავის წაყვანა შესაძლო იყო, წყალს რომ ნიჩბებით აწვებოდნენ, რატომ არ შეიძლებოდა ჰაერსაც დიდი ნიჩბებით მისწოლოდნენ და ბურთი წინ წაეყვანათ. ესეც სცადეს, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამ. ადამიანის ღონით ისე ჩქარა და ისეთის სიმძლავრით ვერ ატრიალებდნენ ამ ნიჩბებს, რომ ბურთისათვის წინ სვლა მიეცათ. გამოჩენილმა მატემატიკოსმა მონჟმა გველის წყალში ცურვასაც-კი მიბაძა; ეგონა, ერთიერთმანერთზე რომ ბურთები გადავაბათ (იხილე სურათი 2) და ისე ვამოძრაოთ ჰაერში როგორც წყალში გველი მოძრაობს, უთუოდ წინ გაცურდებაო.

მანამ ორთქლის ძალას არ მიმართეს, ყველა ცდა უნაყოფო იყო. პირველი ორთქლის ძალით ჰაერში მოსიარულე ბურთი (იხ. სურ. 3) ცნობილმა ინჟენერმა ჟიფარმა მოიგონა 1851 წ. ამ ინჟენერმავე შესანიშნავის ზედ-მიწევნით გამოიანგარიშა რამოდენა ძალა იყო საჭირო, რომ მოპირდაპირე ქარი ეძლიათ და ისიც, თუ რა ნაირი ფორმა უნდა მიეცათ ბურთისათვის, რომ მოძრაობის დროს წინ-ქარს ნაკლები წინააღმდეგობა გაეწია. ჟიფარმავე პირველად შემოიღო ნიჩბების მაგიერი „ჰელისი" ანუ ღერძზე ირიბად დასმული ფრთები, როგორც საზოგადოდ გემების სამოძრაოდ ხმარობენ. ამ ფრთებს ორთქლის მაშინა მინუტში 110-ჯერ ატრიალებდა თოკის ღერძლე და ასეთი სიჩქარით ფრთების ტრიალი საკმარისი იყო, რომ მინუტში 65 საჟენის სიჩქარით წაეყვანა ბურთი. აქვე მომყავს ამ პირველ საფრენი ბურთის სურათი: სიგრძე მისი 55 არშინი იყო; შუა წელში სიგანე 15 არშინი; მთელი ბურთი თითქმის სამი ათასს კუბიკურ არშინ გაზს იტევდა და შეეძლო ასი ფუთი მეტი სიმძიმე აეტანა; მთლად ბადეშია გახვეული და ამ ბადეზე ჩამოკიდებულია ყოველ-გვარი საჭირო ასატანი სიმძიმე.

ამნაირ ბურთზე აიტანა ჟიფარმა ორთქლის მაშინა, რომელსაც ხუთ არშინიანი სიგრძე ფრთები უნდა დაეტრიალებინა. ძალიან გაბედულობა უნდოდა, რომ ცეცხლის მფრქვევი მაშინა საფეთქებელ გაზით გაბერილ ბურთზე აეტანა; მაგრამ როდესაც ადამიანი გატაცებულია ამნაირი აზრით, მაშინ იგი თავის სიცოცხლეზე აღარ ჰფიქრობს: გაჰბედა და ყოჩაღადაც დაამტკიცა, რომ ადამიანს ჰაერში მოგზაურობა შეეძლო. ჟიფარის შემდეგ თითქმის ახალი არა მოუგონიათ-რა იმის გარდა, რომ ორთქლის მაშინის მაგიერ სხვა სამოძრაო მაშინები დადგეს, რომელნიც არც ისე სახიფათო სახმარებელნი არიან, ძალაც მეტი აქვთ და არც ისე მძიმე ასატანია. თითქმის ოცდა-ათის წლის შემდეგ ჟიფარის შეგირდებმა ძმათა ტიხანდიებმა ერთი სამოგზაურო ბურთი გააკეთეს, რომელიც ბევრით არ განსხვავდებოდა ჟიფარის ბურთისაგან, მხოლოდ ფრთების სატრიალებლად ორთქლის მაშინის მაგიერ პირველად დინამო

განსახილველად წარედგინა განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. კომისიამ ფალსიფიკაციის საწინააღმდეგო საშუალებათა დასახელების გარდა მიენდო განხილვა მოსკოვის მეღვინე-მევენახეობის კომიტეტის პროექტისა, თუ რა ღონისძიებით შეიძლება მოისპოს დღეს გავრცელებული ფალსიფიკაცია. ამ საქმის განხილვის დროს კომისიამ ორი საკითხი განუმარტავს: 1) რამდენად მოსახერხებელია გასასყიდ ღვინის ფალსიფიკაციის მოსასპობად ბოთლებზე ბანდეროლის შემოკვრა და 2) რამდენად კარგად არის შემუშავებული ბანდეროლით ბრძოლის სისტემა მოსკოვის მეღვინეობის კომიტეტის პროექტში. პირველი წინადადება კომისიამ შემდეგის მოსაზრებით უარ ჰყო. იმის გამოსაკვლევად, რამდენად ბუნებრივია და ნამდვილია ღვინო იმ ჭურჭელში, რომელსაც ბანდეროლი აკრავს, საჭიროა კონტროლი დაწესებულ იქნეს იმ ადგილში, საიდანაც მოდის ბაზარში გასასყიდად ღვინო; სანამ ბანდეროლი დაეკვროდეს, გამორკვეული უნდა იყოს ღვინის თვისება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანდეროლს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. რადგანაც ღვინის საკეთებელი ადგილები ჩვენში მრავალია და თითოეულს ადგილში თითქმის განსაკუთრებული თვისების ღვინო მოდის, ამიტომ შეუძლებელი იქნება მეურნემ გაუძლოს ხარჯს, რომელსაც ღვინის კონტროლი მოითხოვს. მთელი შემოსავალი მოხელე-კონტროლერების შენახვას მოუნდება და ფალსიფიკაციის მოსპობა მაინც ვერ იქნება აღსრულებული. რაც შეეხება მოსკოვის კომიტეტის პროექტს, კომისიამ იგი დაწვრილებით განუხილავს და დარწმუნებულა, რომ შეუძლებელი იქნება პროექტში აღნიშნულ ღონისძიებით ფალსიფიკაცია მოისპოს. კომიტეტი თვის პროექტში, მაგალითად, ასახელებს დაწესებულ იქმნენ ადგილობრივ საგუბერნიო კომიტეტები ანუ საბჭოები მეღვინეობის საქმეების შესახებ და მოსკოვში მეღვინეობის უმთავრესი საბჭო უმთავრეს ლაბორატორიით საეჭვო შემთხვევებში ღვინის გამოსაკვლევად. კომისიას შეუძლებლად უცვნია ასეთი საბჭოებისა და კომიტეტების დაარსება იმ მოსაზრებით, რომ ღვინის წარმოება და დაყენება რომელსამე გუბერნიაში რამდენიმე ათას ადგილას ხდება; თითქმის ყოველ დღეს მეღვინეები სწმენდენ ღვინოს, ერთი ადგილიდან მეორეში ასხამენ და სხვ. და როგორ შეიძლება ამ რამდენიმე ათას ადგილას ჯეროვანად საქმის ყურის გდება, ისე კი რომ ფალსიფიკატორმა მაინც თავისი არ შეასრულოს? კომისია ასე ბოლომდე მუხლ-მუხლად არჩევს მოსკოვის კომიტეტის პროექტს და სრულიად უარჰყოფს დასახელებულ ღონისძიებათ, რადგანაც „საქმის ასე დაყენება გაცილებით უფრო შეავიწროებს მეღვინეობას და ხელს შეუშლის ღვინის დაყენების წარმოებას, ვიდრე ეხლა ფალსიფიკაცია აძლევს ზარალსაო“.

კომისიის აზრით, ფალსიფიკაციის გავრცელების უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ დღეს ჩვენში რიგიანად არ არის მოწყობილი მეღვინეობისა და მევენახეობის მეურნეობა; მეღვინეობის ტეხნიკის განუვითარებლობა, უგზოობა და სხვა ამგვარი გარემოებაა იმის მიზეზი, რომ ჩვენში ღვინის ფალსიფიკაცია ძლიერდება. რადგანაც მეღვინეობისა და მევენახეობის გასაუმჯობესებლად და ფალსიფიკაციასთან საბრძოლველად საჭიროა დიდი ფული, ხოლო რადგანაც ღვინო ერთად-ერთი მარჩენელი წყაროა მრავალის ხალხისა, ამიტომ, კომისიის აზრით, თვით სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ამაზე; იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა აღნიშნულ მიზნისთვის ხარჯს გააწერს მეღვინე-მევენახეებს, შემუშავებულ უნდა იქმნეს განსაკუთრებული წესი ამ ფულების მოსაკრებად; შეკრებილი ფული უნდა გაიყოს ორ ნაწილად: ერთი ნაწილი უნდა მოხმარდეს მეღვინეობისა და მევენახეობის გაუმჯობესების საქმეს, მეორე ნაწილი კი ფალსიფიკაციასთან ბრძოლას. აღნიშნულ ფულის რიგიანად მოხმარება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც საერობო დაწესებულებანია და რადგანაც ჩვენში ერობა არ არის ჯერ შემოღებული, უნდა დაწესებულ იქნეს ისეთი ორგანო, რომელსაც მიენდოს ეს საქმე. თუ ვინიცობაა ფული გაეწერა ადგილობრივ მცხოვრებლებს, ერთ დესეტინა კარგად გაშენებულ ვენახზე გარდასახადი უნდა იქმნეს არა უმეტეს ერთი მანეთისა, ხოლო ერთ ვედრო ღვინოზე არა უმეტეს 5 კაპ. თუ როგორი ღვინო და რა თვისების უნდა იქნეს გასასყიდად გამოტანილი ბაზარში, კომისიას გაუხსენებია დადგენილებანი ამას წინად მომხდარ კავკასიის მეღვინე-მევენახეობის კრებისა. ამ დადგენილებათა შინაარსი თავის დროზე უკვე გვქონდა აღნიშნული.

მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია; ბოლოს კრება დასთანხმდა კომისიის მოხსენებას და გარდასწყვიტა განსახილველად გაუგზავნოს იგი ოდესაში ამ ჟამად მომუშავე მთელ რუსეთის მეღვინე-მევენახეების კრებას.

შემდეგ, საყურადღებო მოხსენება წარუდგინა საზოგადო კრებას ბ-ნ ფ. გ. გოგიჩაიშვილმა. რუსულს პრესსასა და ლიტერატურაშიო, დაიწყო ლექტორმა, ხშირად ამბობენ, რომ კავკასიაში ბევრია თავისუფალი ადგილი რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გლეხობის გადმოსასახლებლადო. რუსის საზოგადოებაშიაც გავრცელებულია ის აზრი, ვითომც ამიერ-კავკასიის გლეხობას საკმაოდ აქვს ადგილები და თავის საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ დიდძალი თავისუფალი ადგილები რჩება უსარგებლოდო. სამწუხაროდ, ასეთი მოსაზრებანი არ მტკიცდება არც სტატისტიკური ცნობებით და არც კერძო პირთაგან გლეხების მდგომარეობის გამოკვლევებით. სტატისტიკურ ცნობების მარტო გადათვალიერება საკმარისია, რომ ყველა დარწმუნდეს შემდეგში: კავკასია არამც თუ სუსტად, არამედ ერთი მჭიდროდ დასახლებული მხარეთაგანია მთელს რუსეთის იმპერიაში. 1897 წლის აღწერილობით დასავლეთ რუსეთში ციმბარიანად 1 ოთხ.-კუთ. ვერსტზე მოდის 6,6 მცხოვრებელი; მარტო დასავლეთ რუსეთში ამავე წლის აღწერილობით 1 ვერსტზე მოდის 14,5 მცხოვრებელი, ხოლო კავკასიაში შავიზღვის პირის გუბერნიასთან ერთად 1 ოთხ.-კუთ. ვერსტზე მოდის 25,2 მცხოვრები, აღნიშნულ გუბერნიის გარდა, კავკასიაში ვერსტზე მოდის 25,5. მოდის. დასავლეთ რუსეთში ერთს ვერსტზე 10 მცხოვრებელი რომ ჩავაგდოთ, გამოდის, რომ დასახლებულია მთელის ქვეყნის 62%, ხოლო კავკასიის 98% ადგილები. ამ ციფრებიდან ნათლად სჩანს, რამდენად მჭიდროდ არის დასახლებული კავკასია. დასახასიათებლად იმისა, თუ რამდენად უკეთეს პირობებშია რუსეთი კავკასიასთან შედარებით, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მრეწველობა რუსეთში ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე ჩვენში; რუსეთის ქალაქები ეკონომიურად უფრო ძლიერნი და დაწინაურებულნი არიან კავკასიის ქალაქებზე. მრეწველობის მხრივ ძალიან სუსტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენებურს ქალაქებს ჩვენის ქვეყნისათვის. ჩვენში ისეთი ქალაქებიც არის, რომელთა მცხოვრებნი მიწის მუშაობას დღევანდლამდე მისდევენ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ რუსეთის ქალაქები მრეწველობის განვითარებისაგამო დიდძალს მუშა ხელს ითხოვენ, რის გამოც სოფლებში ბევრი ცარიელი ადგილები რჩება თავისუფლად, ჩვენი მხარე-კი ამ მხრით ძალიან ჩამორჩენილია და ამიტომაც რუსეთზე უფრო მჭიდროდაა დასახლებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახეში მისაღებია თავისუფალ ადგილების ვარგებულება დასასახლებლად, მისი ტოპოგრაფიული მდებარეობა. მოვიყვან მაგალითად თიანეთის მაზრას, სადაც თითეულს ოთხ-კუთხ. ვერსტზე მოდის საშუალო რიცხვით 10 მცხოვრებელი. თუ მარტო ციფრს მივაქცევთ ყურადღებას, გვეგონება, რომ თიანეთის მაზრა ყველა მაზრაზე უფრო სუსტად არის დასახლებული. მაგრამ, როცა მას განვიხილავთ დაახლოვებით ტოპოგრაფიულად, მივიღებთ სახეში დასახლებისათვის გამოუსადეგარ ადგილებს, დავინახავთ, რომ თიანეთის მაზრა სხვებზე მჭიდროდაა დასახლებული. თიანეთის მაზრის მთაგორიან ნაწილში, რომელიც წარმოადგენს სრულიად გამოუსადეგარ კლდეებს და თვალ უწვდენელ ხევებს, დასასახლებლად საკმარისი ადგილი გვაქვს სულ 40 დესეტინამდე და ეს ადგილებიც ისეა გაფანტული კლდეებში, რომ რაღაც ხელის ოდენა ოაზისებს წარმოადგენენ მთების ზღვაში. თუშეთისა, ხევსურეთისა და სახანოს საზოგადოებაში, თავ. მ. მაჩაბლის მიერ შეკრებილ ცნობებით, 1/2 ადგილები სრულიად სალი კლდეებია. თუმცა ტოპოგრაფიულად კავკასია გამოკვლეული არ არის და დაახლოვებით არ შეგვიძლიან აღვნიშნოთ რაოდენობა ჩვენში უვარგის ადგილებისა, მაგრამ ეჭვს არავის აღუძრავს, თუ ვიტყვით, რომ კავკასიაში გაცილებით უფრო ბევრი ადგილებია გამოუსადეგარი, ვიდრე რუსეთში. უვარგისი ადგილები რუსეთში შეადგენს 19,1% მთელის დასავლეთ რუსეთისას.

აღნიშნულ მოსაზრებათა გარდა, შესადარებლად უნდა ავიღოთ ჩვენის ქვეყნის მცხოვრებთა წოდებანი და მათგან დაკავებულ ადგილების პროცენტული დამოკიდებულება. ამ მხრით რუსეთის გლეხობა გაცილებით უკეთეს პირობებშია. რუსეთში ხაზინისა და კერძო პირთა საკუთრებას შეადგენს 62,5% ადგილებისა, ჩვენში კი 70,6%; აქედან აშკარაა, რომ ჩვენს გლეხობას ნაკლებად აქვს თავისუფალი ადგილები. ა. ფორტუნატოვის სიტყვით, რუსეთის გლეხობაზე მოდის 33,4% მთელის ადგილებისა, ხოლო ჩვენში 29,2%. 50 გუბერნიაში, იმავე ფორტუნატოვის სიტყვით, თითოეულს კომლ გლეხზე მოდის 13,2 დესიატინა მიწა. სრულიად სხვა სურათს ვხედავთ ჩვენში. 18 წლის წინად მომხდარ გამოკვლევის თანახმად, ქუთ. გუბერნიაში სახელმწიფო გლეხზე საშუალოდ მოდის 4,22 დესიატინა, ტფილისისაში—17,90, ერევნისაში 16,04, განჯაში 18,65, ბაქოში 16,59 და საზოგადოდ მთელს კავკასიაში 16,02. ამ ციფრების მიხედვით კაცს ეგონება, რომ კავკასიის გლეხობა კარგს მდგომარეობაშია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის, რადგან აღნიშნულ მიწებში ბევრი ისეთი უვარგისი ადგილები შედის, რომ გროშად არა ღირს. ეს გამოკვლევა 18 წლის წინად იყო და თუ მივიღებთ სახეში ხალხის გამრავლებას წელიწადში 1% და ამის და მიხედვით გამოვიანგარიშებთ, ქუთაისის გუბერნიაში თითო კომლ გლეხზე კარგი ადგილი

მოდის . . 3,28 დესეტ. სახნავი 1,92 დ.
ტფილისის გუბ. 6,84 „ „ 4,92 „
ერევნის გუბ. 12,43 „ „ 6,25 „
განჯისაში . . 7,79 „ „ 6,38 „
ბაქოს გუბ. . 8,07 „ „ 6,82 „

მთელს კავკასიაში 7,36 დესიატინა. მთელს კავკასიაში უადგილობით უფრო შევიწროვებულია ქუთაისის გუბერნია.

(დასასრული იქნება)

ქუთაისის ქალაქის საბჭო

ორშაბათს, 10 თებერვალს, ქალაქის მოურავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც 24 ხმოსანი დაესწრო.

განსახილველი იყო სულ 9 საქმე, რომელთაგან აღვნიშნავთ უფრო საყურადღებოს:

საბჭოს მოხსენდა ბ-ნ გუბერნატორის წინადადება შესახებ იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეუწყნარებია ქალაქ ქუთაისის შუამდგომლობა, რომ ამ წლის მაისიდან დაწყებული სამის წლის განმავლობაში ქალაქმა ისარგებლოს ხიდების შემოსავლით.

წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ მამულების შესაფასებელ გადასახადის შემოსატან ვადათ, მსგავსად წინა წლებისა, დანიშნულ იქმნეს ისევ მაისის პირველი რიცხვი, რომლის შემდეგ გადასახადს ჯარიმაც მიემატება.

საბჭომ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, შეიწყნარა სახალხო წარმოდგენების გამგის ე. ი. ნიკოლაძის ასულის თხოვნა შესახებ იმისა, რომ სახალხო წარმოდგენები განთავისუფლებული ყოფილიყო ტანისამოსის შესანახად დაწესებულ გადასახადისაგან და გარდა ამისა დაბრუნებოდა მას, როგორც წარმოდგენების გამგეს, უკვე გადახდილი 30 მანეთი.

საბჭოს მოხსენდა გუბერნიის სამმართვე-

მაშინა დადგეს—ელექტრონის ძალა იხმარეს. ამ საშუალებით მათ მიაღწიეს იმას, რომ ერთწამში 5 არშინის სიჩქარით მიაფრენდნენ ბურთს, ანუ მინუტში 100 საჟენის სიჩქარით.

ძალიან ბევრს ადგილს დაიჭერდა, ყველა ჰაერში მოსიარულე ბურთები რომ აგვეწერა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ყველა ეს ბურთები ერთმანერთიდან განსხვავდებიან ან სიდიდით, ან გარეგანი ფორმით, ან სამოძრაო მაშინის ძალით, ან კიდე სხვა-და-სხვა ალაგას დასმულ ფრთებით; სხვაფრივ კი ერთისა და იმავე პრინციპის ძალით მოძრაობენ. მკითხველი თვითონ ნახავს უკანასკნელი მოდელის სამგზავრო ბურთს უბედურ სევეროსას*) და სანტოს-დუმონისას, რომელმაც ასი ათასი ფრანკი დანიშნული პრემია მიიღო ამიტომ, რომ ნახევარ საათის განმავლობაში „ჰაერო-კლუბის“ ბაღიდან ეიფელის კოშკთან მივიდა და დაბრუნდა,—მანძილი თითქმის 9—10 ვერსტია. ასეთის სიჩქარით ჯერ არავის უმოგზაურია; მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამნაირი მოგზაურობა დიდის გაჭირვებით და თან უქარო დღეს თუ მოხდება; და თუ ქარმა დაუბერა ამავე სიჩქარით, მაშინ ბურთი ალაგიდან ველარ დაიძვრის. მთელი ფიქრი ეხლა იმისაკენ არის მიმართული, რომ უფრო მძლავრი და თან უფრო მჩატე ასატანი მაშინა გამოიგონონ; მაგრამ ბევრს ეს ისე შეუძლებლად მიაჩნია, რომ ამ საშუალებით ფრენისაგან მეტს აღარას გამოელიან.

მაგრამ თუ ინჟენერები და უბრალო მომაკვდავნი იმ ფიქრით არიან გატაცებულნი, რომ მალე შევძლოთ ჰაერში მოგზაურობაო და ამ ფიქრის განსახორციელებლად თავს არ იზოგავენ, მეორეს მხრით მეცნიერები ჯერ-ჯერობით ძალიან კმაყოფილნი არიან მარტო იმითი, რომ მაღლა ცაში აფრენა შეგვიძლიაო, რომ ბუნებას თავის საიდუმლოება წავართვათო. ერთს მშვენიერ დღეს პატარა ასაფრენ ბურთს ჩამოჰკიდებენ სხვა-და-სხვა ჰაერის საზომ იარაღს და გაუშვებენ მაღლა. ამნაირი ბურთი 11/12 ჰაერის სივრცეს გაივლის, ამ სიმაღლეზე ჰაერის საზომი იარაღი ბარომეტრი 62 m. m. ჩამოვა ხოლმე. მერე ბურთი თავისით ჩამოეშვება, პატრონი იპოვნის და იარაღებს მაღლა ცის ამბავს მოჰკითხავს. როდესაც იმნაირი ბუნების თვისების გაგება უნდა, რომელიც უბრალო იარაღით თავისთავად ვერ გამოიცნობა და ადამიანის დასწრებას საჭიროებს, მაშინ თვითონ ჩასხდებიან ბურთზე ჩამოკიდულ ნავში და აფრინდებიან ხოლმე. გამოჩენილი მეცნიერი გეი-ლუსაკი ამნაირად რამდენჯერმე აფრენილა. 1850 წ. ორი მეცნიერნი ბარალი და ბიკსიო თითქმის 8800 არშინის სიმაღლეზე აფრინდნენ რომ გამოეკვლიათ, რა კანონით კლებულობდა ტემპერატური, ჰაერის სინოტიე, ან ყოველ სიმაღლეზე ერთნაირი ქიმიური თვისებისა იყო ჰაერი თუ არა და სხვა. ამათ შემდეგ 1874 წ. სიველი და კროჩე-სპინელი, რომ გამოეცადნათ რა გავლენა ქონდა ადამიანზე სიმაღლეზე ყოფნას, 9250 არშინის სიმაღლეზე აფრინდნენ. 8750 არშინის სიმაღლეზე რომ ავედითო, მოგვითხრობენ ისინი თავის მოგზაურობაში, ჰაერი აღარ გვყოფნიდაო და იძულებული ვიყავით თან წაღებულ მჟავმბადით შერეული ჰაერი გვესუნთქაო; კროჩე სპინელი ისე დასუსტდა, რომ ალაგიდან ველარ იძროდაო; სცადა რამე შეეჭამა, მაგრამ მადა სრულიად აღარ ქონდა, მხოლოდ როდესაც მჟავმბადი ისუნთქა, მადაც მოუვიდაო. მაჯა 140-ჯერ უცემდაო—საზოგადოდ-კი 80-ჯერ უცემდაო.

ერთის წლის შემდეგ იგივე მეცნიერნი კიდევ აფრინდნენ და თან წაიყვანეს კიდევ ცნობილი ინჟინერი ტისანდიე. მოულოდნელად, ისე რომ ვერც კი მოასწრეს გონზე მოსულიყვნენ, ბურთმა 10780 არშინის სიმაღლეზე აიტაცა: ველარ მოასწრეს რამე ღონისძიება ეხმარათ, რომ ბურთი შეეჩერებინათ; უცბად ამოდენა სიმაღლეზე ისე მოწყვეტილან, რომ ხელის განძრევაც ვერ შესძლებიათ; სპინელი და სიველი წაქცეულან და სული განუტევებიათ, მხოლოდ რაღაც განგებით ინჟენერი ტისანდიე გულ-შეწუხებული რომ წაქცეულიყო, ხელი გამოედო თურმე იმ ბაწრისათვის, რომელიც გაზის გამოსაშვებ ენას ჰქონდა მობმული და ამნაირად რაღაც სასწაულით გადარჩენილიყო. მანამ დავამთავრებდე წერილს, ორიოდე სიტყვას ვიტყვი კიდევ ამ საფრენ ბურთების აწინდელ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ჯერ ისევ ფიზიკოსმა შარლმა ამნაირად დაახასიათა მათი მნიშვნელობა: „ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ამ საფრენ ბურთების საშუალებით შეიძლება მტერს თავზე გადავევლოთ და წერილები გადავიტანოთ, ვსთხოვოთ შველა ჩვენებს ან კიდევ დიდ თოვლიან ზამთარში მაღალ მთებსაც კი გადავევლოთ, რომ რამე საჩქარო ამბავი მივიტანოთო.“

ყველა სამხედრო დაწესებულებაში ეხლა უსათუოდ საჭიროებად მიაჩნიათ მაღლა ასაფრენი ბურთი, რომ მაღლიდან მტრის მოძრაობას თვალი ადევნონ. ამისთანა ბურთებზე, რასაკვირველია, ტელეფონიც გამართული აქვთ, რომ მაღლიდან დაწვრილებით გადასცენ ძირს მყოფ შტაბს მტრის ყოველი მოქმედება.

X.

---

*) შარშან 12 მაისს პარიზში სევერო თავის გამოგონილ სამოგზაურო ბურთით აფრინდა, მაგრამ რაღაც მიზეზით გაზმა იფეთქა, ბურთი გასკდა და თითქმის ნახევარ ვერსტის სიმაღლიდან სევერო და მისი მექანიკოსი დახოცილები ძირს ერთ ბულვარზე დაეცნენ.

ლოს წინადადება, სურს თუ არა ქალაქს, ქუთაისში რომ გაიხსნას აზოვო-დონის საკომერციო ბანკის განყოფილება და რამდენად სასარგებლო იქმნება ესაო. როგორც ქალაქის მოურავმა განმარტა, გამგეობას სხვა-და-სხვა მოსაზრებით მაინცა-და-მაინც სასარგებლოდ ვერ დაუნახავს ქუთაისში ამ განყოფილების გახსნა. მაგრამ გამგეობაში ბევრი ქუთათური ვაჭარი—უმეტესად შეძლებულნი—მისულან და ყველას თანხმობა განუცხადებია და უთხოვნიათ, მოხსენდეს საგუბერნიო მმართველობას, რომ სასურველია ქუთაისში ამ განყოფილების გახსნა; ისიც უთხოვიათ, აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა, რომ ქუთაისში გაიხსნას სახელმწიფო ბანკის განყოფილებაო.

ნ. გ. ჭიჭინაძე საჭიროდ ნახულობს, რომ ეს კითხვა სერიოზულად გაირჩეს, რადგან შესაძლებელია, ამ განყოფილების გახსნით საურთიერთო ნდობის საზოგადოება საფრთხეში ჩავარდეს და, იქნებ, კიდეც დაიხუროსო.

ხმის უმეტესობით გადაწყდა: ეცნობოს გუბერნიის სამმართველოს, რომ სასურველია ქუთაისში აზოვო-დონის საკომერციო ბანკის განყოფილების გახსნა; გარდა ამისა აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ქუთაისში გახსნან სახელმწიფო ბანკის განყოფილება.

სალორიის აგარაკის მმართველად ხმოსანთაგან არჩეულ იქმნა დ. ბ. მდივანი (23 თ.—2 შავი).

საბჭომ შეიწყნარა მეფურნეების თხოვნა და პურის ეხლანდელ ნიხრს თითო კაპეიკი მიუმატა გირვანქაზე.

დონ-ვალიანი

წერილი ოზურგეთიდან

(გურიის თავად-აზნაურთა კრება)

თებერვლის 9-სა და 10-ს ოზურგეთში მოხდა გურიის თავად-აზნაურთა კრება.

კრების დაწყებისათანავე, თავმჯდომარის თავ. გ. ერისთავის წინადადებით, შეკრებილმა თავად-აზნაურობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა და მოიხსენია ახლად გარდაცვლილი სამეგრელოს მთავრად ნამყოფი უგანათ. თავ. ნიკოლოზ დავითის ძე.

შემდეგ კრებამ დაამტკიცა ორი სია გურიის თავად-აზნაურებისა; ერთში მოთავსებულია ცენზიანები, მეორეში ის თავად-აზნაურნი, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნება არა აქვთ.

შემდეგ კრებას მსჯელობა ჰქონდა 4 საგანზე: 1) გურიის თავად-აზნაურობისა და გლეხობის შუა გამწვავებულ ურთიერთობის შესახებ, რომელიც შარშან ზოგიერთ ადგილას მომხდარ უწესოებაშიაც გამოიხატა; 2) ოზურგეთში სათავად-აზნაურო სახლისა და კასსის დაარსების შესახებ; 3) ოზურგეთში ხაზინის დაწესების შესახებ და 4) ოზურგეთში ჯარის რომელისამე ნაწილის შტაბ-კვარტირის დატოვების შესახებ.

პირველ საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა სთხოვოს თავად-აზნაურთა მომავალ საგუბერნიო კრებას იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ: ა) დაარსებულ იქმნას საგანგებო კომისია გურიის გლეხთა და თავად-აზნაურთა ურთიერთობის გამოსაკვლევად და ბ) მიღებულ იქმნას ღონისძიებანი თავად-აზნაურთა დასაცველად. მეორე საკითხი—სათავად-აზნაურო სახლისა და კასსის დაარსება გადაწყდა პრინციპიალურად, ხოლო პროექტების შესადგენად და საქმის აღსასრულებლად აირჩიეს კომისია, რომლის წევრებად დანიშნეს: დ. ერისთავი, ტ. ნაკაშიძე, ი. თიკანაძე, ი. მაჭუტაძე, პ. ბერიძე, ი. გოგიტიძე, ი. ნაკაშიძე, მ. მახარაძე, დ. ბერიძე, გ. გურიელი და ბ. კობახიძე. კომისიამ მაისამდე უნდა დაამთავროს პროექტის შემუშავება, რომელსაც კრება კვლავ განიხილავს. ხაზინის გახსნისა და შტაბ-კვარტირის დატოვების შესახებ კრებამ ერთხმად მიიღო თავმჯდომარის წინადადება და დაავალა წინამძღოლს, იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს.

აზნაური

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 თებერვალი

კურსკი. სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა კომიტეტის კრებები დასრულდა. კომიტეტმა დაადგინა: ვიშუამდგომლოთ, მთავრობამ მფარველობა აღმოუჩინოს სასოფლო მრეწველობას; სასურველია საყოველთაო სწავლება შემოიღეს და ამისათვის არაყს დამატებითი ბაჟი დაედოს, შაქარზე დანიშნული ბაჟი შემცირდეს, გადაზიდვის დროს პური გზაში არ გაჩერდეს, ელევატორების დაარსება; მოისპოს ნადელების გამოსაყიდი გადასახადები; გადასახლების მოძრაობის გაწესრიგება, სახურავ რკინეულობაზე ბაჟი მოისპოს; საინტენდანტო საქმეეთა შესრულების პირობათა შემსუბუქება; დაარსდეს გუბერნიაში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სამელიორაციო კრედიტის გავრცელება; გამოიცეს კანონი, რომლითაც წყალი დაცულ უნდა იქმნეს; ნება მიეცესთ, რომ სოფლის მწარმოებელთ დროგამოშვებითი კრებები მოახდინონ; სათემო მფლობელობიდან მიწის საკომლო მფლობელობაზე გადასვლა აღრეულად იქმნა ცნობილი.

ასხაბადი. ფერგანის ოლქის გუბერნატორი აცხადებს მიწის ძვრისაგან მოტანილ ზარალს. მოკლულია ანდიჟანში რუსი 5 ათასი, გარდა ჯარის კაცთა, მკვიდრნი—1,016. ანდიჟანის მაზრის 158 სოფელში—3,342, მარგელანის 106 სოფელში—285 და ომსკისაში—4. საქონელი დაიღუპა: ქალაქში 1,375 სული, ანდიჟანის სოფლებში—4,693, მარგელანისაში—518 და ომსკისაში—139. აწერილია ღარიბნი ანდიჟანის მხარეს 6,675 ოჯახი. დაინგრა: რუსების ნაწილში 123 სახლი, გარდა მთავრობისა და მხედრობისა 956,220 მანეთისა, მკვიდრთა—9,526 სახლი 5.765,460 მანეთისა. ანდიჟანის სოფლებში 17,913 სახლი 3,700,000 მანეთისა, მარგელანისა—6,522 სახლი 406 ათას მანეთისა და ბულაკბაშინსკისაში—795 სახლი 82,042 მანეთისა. მოძრავი ქონება რუსებმა დაჰკარგეს ანდიჟანში 427,307 მანეთისა, მკვიდრთ—320.758 მანეთისა, ანდიჟანის სოფლებში—919,136 მანეთისა, ამ რიცხვში საქონელიც მარგელანისაში—15,741 მანეთისა, ომსკისაში—4,494 მანეთისა.

7 თებერვალს კიდევ იყო დრო გამოშვებით მძლავრი მიწის ძვრა ოთხჯერ.

პარიზი. სამეცნიერო აკადემიამ პროფესორი კოხი თავისს წევრად აირჩია.

ქარაქასი. რიო-ჩიკოს ახლო აჯანყებულნი დამარცხდნენ.

კონსტანტინეპოლი. თევფიქ-ფაშამ აცნობა ბარონ კალიცეს და ზინოვიევს, რომ სულთანი დასთანხმდა იმ საშუალებათა შესრულებას, რომელიც მემორანდუმშია გამოცხადებული.

პეტერბურგი. 3 საათსა და 30 წუთს გარდაიცვალა რომის კათოლიკეთა ეკლესიების მიტროპოლიტი რუსეთში ბოლესლავ კლოპოტოვსკი.

12 თებერვალი.

პეტერბურგი. მთავრობის განცხადება: „წარსულ წლის 30 ნოემბერს გამოქვეყნებულ მთავრობის განცხადებაში უკვე აღნიშნული იყო ის გარდაწყვეტილებანი, რომელიც რუსეთმა მიიღო ბალკანეთში არეულობის მოსასპობლად. რუსეთის საიმპერატორო მთავრობა ბეჯითად ადევნებდა თვალყურს ერთმორწმუნე ერების ცხოვრებას ოსმალეთში და ყოველთვის ურჩევდა ოსმალეთს დაუყოვნებლივ შესდგომოდა სოლუნის, კოსსოვას და მონასტირის ვილაიეტებში მცხოვრებ ქრისტიანთა მდგომარეობის გაუმჯობესობას. წარსულ წლის ოქტომბერში კონსტანტინეპოლიდან დაბარებულ იქმნა რუსეთის ელჩი, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს უსაჭიროეს რეფორმების პროექტი და ეცადოს მათ განხორციელებას, რათა ძირიანად მოისპოს ბალკანეთში მცხოვრებთა უკმაყოფილების მიზეზი. ამგვარივე რჩევა მიეცა ლივადიაში გამოგზავნილს ოსმალეთის საგანგებო ელჩს თურხან-ფაშას. ოსმალეთის მთავრობამ თანხმობა გამოაცხადა რუსეთის მეგობრულ რჩევის აღსრულებაზე. 1902 წლის ნოემბერში გამოცხადდა სულთანის ირადე რეფორმების შესახებ, მაგრამ აღთქმული ღონისძიებანი საკმარისი არ იყვნენ და ოსმალეთის საქრისტიანო ვილაიეტებში მშვიდობიანობას ვერ დაამყარებდნენ. მეორეს მხრით, მიუხედავად მეგობრულის რჩევისა, რომელიც მიეცა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებს, არ სცხრებოდა სარევოლიუციო კომიტეტების აგიტაცია, რომლითაც ხალხს აქეზებდნენ კანონიერ მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქმეთა ასეთ საშიშ მდგომარეობის გამო, გარეშე საქმეთა მინისტრს დაევალა წასულიყო სერბიასა და ბულგარიაში და იმპერატორის სახელით შემდეგი ეცნობებინა მეფე ალექსანდრესა და მთავარ ფერდინანდისათვის:

რუსეთი, რომელიც მუდამ ზრუნავდა ოსმალეთის ქრისტიან ქვეშევრდომთათვის, ახლაც ყოველ ღონისძიებას ხმარობს აიძულოს ოსმალეთი და რეფორმები მოახდინოს ოსმალეთის ევროპიულ ვილაიეტებში. ამის აღსასრულებლად უეჭველად საჭიროა სლავიანთა სახელმწიფოებმა მშვიდობიანობა დაიცვან ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე და წინააღუდგნენ სარევოლიუციო კომიტეტების მოქმედებას. თუ ასე მოიქცევიან, მაშინ შეუძლიათ იმედი იქონიონ რუსეთის ძლიერის დახმარებისა. სერბიის მეფემ და ბულგარიის მთავარმა უმაღლესის რჩევის პასუხად განაცხადეს თანხმობა და აღუთქვეს გრაფ ლამზდორფს, რომ ყოველ ღონისძიებას იხმარენ სარევოლიუციო კომიტეტების მოქმედების მოსასპობლად და მოუცდიან რუსეთის მეცადინეობის შედეგს ოსმალეთის ქრისტიან ქვეშევრდომთა სასარგებლოდ. სერბიისა და ბულგარიის მთავრობათ ეს დაპირება აღასრულეს და იმპერატორის მთავრობამ კიდეც მოუწონა ბულგარიას სარევოლიუციო კომიტეტების საწინააღმდეგო ზომების მიღება. სერბიასა და ბულგარიაში მოგზაურობის შემდეგ, გრაფი ლამზდორფი უმაღლესის ნებართვით ვენას წავიდა იქ ორ მეზობელ და მეგობარ იმპერიების გარეშე საქმეთა მინისტრებმა, 1897 წლის შეთანხმების ძალით, შეიმუშავეს უმთავრესნი საფუძველნი იმ რეფორმებისა, რომელნიც შემოღებულ უნდა იქმნას ზემოხსენებულ სამ ვილაეტში. ამგვარად შემუშავებული პროექტი წარსულ იანვრის დასაწყისში ეცნობა რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის ელჩებს კონსტანტინეპოლში, და მიენდო იმის თანახმად შეიმუშავონ რეფორმების დაწვრილებითი გეგმა. ზინოვიევისა და კალიჩეს მიერ შემუშავებული გეგმა მოწონებულ იქმნა ორივე მთავრობისაგან და 4 თებერვალს გაეგზავნა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატს; მათ სთხოვა, თუ მოიწონებენ რეფორმებს, დაეხმარონ რუსეთისა და ავსტრიას პროექტის განსახორციელებლად. საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ და ინგლისმა თანხმობა განუცხადეს ამაზე. ამის შემდეგ რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის ელჩებს წარედგინათ სულთანისათვის განზრახულ რეფორმების გეგმა, რომელიც უმთავრესად შემდეგში გამოიხატება: რეფორმების განსახორციელებლად ინიშნება მთავარი ინსპექტორი მტკიცედ განსაზღვრული ვადით, რომლის შესრულებამდე ოსმალეთს ნება არა აქვს გამოსცვალოს იგი სახელმწიფოთა დაუკითხავად. მთავარ ინსპექტოს ნება ექნება ისარგებლოს ოსმალეთის ჯარებით, როცა საჭირო იქნება, ცენტრალურ მთავრობის დაუკითხავად. ხსენებულ 3 ვილაიეტის გენერალ-გუბერნატორებმა უნდა აღასრულონ მთავარ-ინსპექტორის ყველა დავალებანი. პოლიციისა და ადმინისტრაციის გადაკეთებისათვის მოწვეულ უნდა იქმნან უცხოელი სპეციალისტები. ადმინისტრაციაში უნდა მსახურებდნენ მაჰმადიანნიც და ქრისტიანნიც მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით. სოფლის მამასახლისები ქრისტიანები უნდა იყვნენ იქ, სადაც ქრისტიანთა რიცხვი სჭარბობს. რადგან ვილაიეტებში არეულობის გამო ბევრი დაატუსაღეს, ოსმალეთმა ქვეყნის დასამშვიდებლად უნდა გაანთავისუფლოს ისინი. ადგილობრივ დაწესებულებათა წესიერ მოქმედებისათვის ყოველ ვილაიეტში შემუშავებულ იქმნება შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა. ადგილობრივი გადასახადები თავდაპირველად მოხმარდება ადგილობრივსავე საჭიროებას. გადასახადის აკრების იჯარით გაცემა მოისპობა. ოსმალეთის მთავრობამ შეიწყნარა წარმოდგენილი პროექტი და უბრძანა ადგილობრივ მმართველობას დაუყოვნებლივ შეუდგეს რეფორმების განხორციელებას. ამასთანავე განზრახულია ელჩების ხელმძღვანელობით გულდაგულ თვალყური ადევნონ რეფორმების განხორციელების საქმეს. აცნობებს რა თავისს მეცადინეობის ამ შედეგს სლავიანთა სახელმწიფოებს, იმპერატორის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ისინი ხელს შეუწყობენ ბალკანეთის ქვეყნებში მშვიდობიანობის დამყარებას. მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ რუსეთი თავის შვილთა ერთს წვეთს სისხლსაც არ დაჰღვრის, იოტის ოდენასაც არას უმსხვერპლებს ხალხის ავლა-დიდებიდან, თუ სლავიანთა სახელმწიფოები მოიწადინებენ რევოლიუციისა და ძალმომრეობის საშუალებით ბალკანეთის ნახევარ კუნძულის წეს-წყობილების შეცვლას“.

მადრიდი. „ჰერალდოს“ სიტყვით, ტახტის მაძიებელი გაიხიზნა ბენიშემთა ტომის ქვეყანაში. გალატისა და ხიაინის ხალხები მისი ერთგულები არიან.

კონსტანტინეპოლი. 10 თებერვალს გამოცხადდა სულთანის ირადე მაკედონიაში რეფორმების პროექტის მიღების შესახებ.

ვაშინგტონი. ბოუენმა ჩააბარა ინგლისისა, გერმანიისა და იტალიის წარმომადგენლებს იმ ოქმის პროექტი, რომლით უპირატეს პრეტენზიების საკითხი განსახილველად ჰააგის სასამართლოს უნდა გადაეცეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

მეცხრე ტომის კან. დებ. 199 და 200 მუხ. ძალით დანიშნულ არის მაზრის **მორიგი კრება.** უმორჩილესად ვთხოვთ სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა, რომელთაც იმავე ტომის 113 და 147 მუხ. თანახმად აქვთ უფლებები კრებაში მონაწილეობის მიღებისა, მობძანდნენ 17 თებერვალს ამა 1903 წელს დ. ახალ-სენაკში დილის 10 საათზე სამხედრო საკრებულო დარბაზში.

სენაკის მაზრის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დადიანი

(3—1)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის
კიოსკში
იყიდება 1903 წლის
კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორისმელიქოვის ქუჩა.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისში
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).
ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხსათვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და სხვ.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—6)

Довв. ценз. Тифлисъ, 12 Февраля, 1903 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).